

GEORGIAN INCANTATIONS AS AN IMPORTANT EXPRESSION OF ETHNO-
CULTURAL BEING OF THE NATION

ქართული შელოცვები, როგორც ერის ეთნო-კულტურული ყოფის
უმნიშვნელოვანესი გამოხატულება

GIORGI KHORBALADZE

PhD in Philology,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

Abstract . We think it is indisputable that, in Georgia, oral tradition has served as a powerful force for cultural and spiritual advancement since time immemorial. From folk tales—whether in the form of poetry or mythology—classical literature has drawn countless artistic expressions. Even before widespread literacy became possible, history shows that the knowledge, intellect, worldview, and timeless values of Georgians were in no way constrained by a lack of written language. Oral tradition was the bedrock of our development.

As for the incantations themselves, they originate from a deeply distant past and are captivating not only due to the uniqueness of their texts but also for the profound sense of sanctity that has always surrounded the spell as an enigmatic ritual. Thus, beyond the oral and aesthetic purpose of such texts lies the question of belief, making it particularly compelling to explore Georgian spell texts, which, as noted in the title, hold immense significance for the ethno-cultural existence of our nation.

Key words: Word of mouth, incantation, danger, ethnicity.

გიორგი ხორბალაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

აბსტრაქტი. საქართველოში რომ ხალხური ზეპირსიტყვიერება ოდითგანვე დიდ კულტურულ და სულიერად განმავითარებელ ფუნქციას ასრულებდა, ვფიქრობთ, აქ საკამათო არც არაფერია. ხალხური ზღაპრებიდან - ხალხური პოეზიიდან თუ მითოლოგიიდან, არაერთი მხატვრული სახე შეიძინა კლასიკურმა ლიტერატურამაც, თუმცა მანამდეც კი, ვიდრე წერა-კითხვის ფართომასშტაბიანი გავრცელება იქნებოდა შესაძლებელი, ისტორიულად დასტურდება, რომ ქართველთა შემეცნება, გონებრივი

შესაძლებლობები, სამყაროსა და მარადიულ ღირებულებათა აღქმა, არასოდეს ყოფილა გაუნათლებლობასთან თანაზომადი. ჩვენი განვითარების მთავარი საძირკველი კი სწორედ ხალხური ზეპირსიტყვიერება იყო.

რაც შეეხება უშუალოდ შელოცვებს, იგი შორეული წარსულიდან იღებს სათავეს და დიდ ინტერესს იწვევს მისი როგორც ტექსტების თავისებურების გამო, ასევე იმ საკრალურობის განცდის გამოც, რომელიც ყოველთვის ახლდა შელოცვას, როგორც იდუმალ რიტუალს. ამდენად, ამგვარი ტექსტების ზეპირსიტყვიერი და ესტეტიური დანიშნულების მიღმა ასევე იგულისხმება რწმენის საკითხიც და შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო იყო ჩავრმავებოდიტ ქართული შელოცვის ტექსტებს, რომელთაც, როგორც სათაურშიც მოვახდინეთ ფორმულირება, უდიდესი დანიშნულება გააჩნიათ ჩვენი ერის ეთნო-კულტურული ყოფის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ზეპირსიტყვიერება; შელოცვა; საფრთხე; ეთნოსი.

შესავალი. წიგნიერების საერთო და საყოველთაო გავრცელება, როგორც ცნობილია დიდი დროითი დისტანციით ჩამორჩება საქართველოში დამწერლობის შემოღებასაც და საწყის სალიტერატურო პროცესებსაც, ამდენად, საუკუნეების განმავლობაში ხალხური ზეპირსიტყვიერება წარმოადგენდა ფაქტობრივ საგანმანათლებლო საშუალებას, იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ხელს უწყობდა ჯერ მოზარდის გონებრივ წვრთნას და შემდგომ, ზრდასრულობის ასაკშიც, ზეპირსიტყვიერებაში ჩაღეჭილი იდეები თუ აღქმები სახელმძღვანელოდ ადგებოდა ქართველ კაცს ცხოვრების წესის განსასაზღვრავად. ამასთანავე, ზეპირსიტყვიერებას ახლდა დამახსოვრების შინაგანი ვალდებულების განცდა, რაც თავის მხრივ, მეხსიერების ვარჯიშიც იყო და ყოველივე ეს განაპირობებდა და განაპირობებს ქართველი ერის გენეტიკური წრთობას და მისი როგორც მოაზროვნე ერის დიდ ისტორიას, რომლის დაწერაც როგორც წესი პატარა ერებს ხშირად არ ხელეწიფებთ. „ხალხური ზეპირსიტყვიერება ჩამოყალიბდა უძველეს ხანაში და იმ საზოგადოების წეს-ჩვეულებისა და რელიგიურ-მითოლოგიურ შეხედულებებს ასახავდა. საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პროცესში ჩამოყალიბდა ხალხური ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრი, რომლებიც შემდგომში საფუძვლად დაედო წერილობით ძეგლებს.

...ლიტერატურისაგან განსხვავებით, ზეპირსიტყვიერება კოლექტიური შემოქმედებაა, სადაც ავტორის როლი შეზღუდულია. სწორედ კოლექტიურობა, როგორც ზეპირსიტყვიერების არსებითი სპეციფიკური ნიშანი, განაპირობებს ხალხური ზეპირსიტყვიერების სხვა ისეთ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, როგორიცაა ანონიმურობა, ვარიანტულობა და ა.შ.

...ზეპირსიტყვიერება ღრმად ეროვნულია. მასში რელიგიურად არის ასახული ამ ხალხის ეროვნული იდეალები, ზნე-ჩვეულებანი, ყოფა-ცხოვრების წესები“ (ხალხური შემოქმედება, თ.გ.).

ქართულ ზეპირსიტყვიერების მრავალფეროვანი მიმართულება აქვს, რომელთა შორის, სრულიად თავისებური და თვითმყოფადი გახლავთ ქართული შელოცვები. შელოცვათა ტექსტების დაკვირვებით გაანალიზება ბევრ საინტერესო ინფორმაციას იძლევა ქართველთა ეთნო-კულტურულ ყოფაზე, გარდა ტექსტებში მოცემული უაღრესად ნიშანდობლივი შინაარსებისა და ეტიმოლოგიურად საინტერესო სიტყვებისა თუ სიტყვათშეთანხმებებისა, ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყრის თავს თუ შელოცვათა კატეგორიზაციასა და მიმართებებს დავაკვირდებით. ანუ, რას და ვის ულოცავდნენ ყველაზე მეტად, რა იყო მათთვის მნიშვნელოვანი და როგორ აღიქვადნენ საფრთხეს ჩვენი

წინაპრები, ეს არის ის საინტერესო საკითხები, რომლებზეც პასუხების მოძიებას წინამდებარე კვლევის ფარგლებში შევეცდებით.

მეთოდები. სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ტექსტის ინტერპრეტაციის, შედარების, ანალიზისა და კომპლექსურ-ისტორიული მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. ქართული შელოცვები ძალზე მრავალფეროვანია. იმდენად რამდენადაც, ის ქართველთა ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახლდათ. როგორც ამირან არაბული შენიშნავს: „შელოცვის ტექსტი და მისი შესრულების წესი იმდენად მჭიდრო კავშირში იყო მუდამდღიურ ცხოვრებისეულ სინამდვილესთან, ყოფით გარემოსთან (იგულისხმება სამკურნალო და სამეურნეო ხასიათის · შელოცვები), რომ ხალხური შემოქმედების ამ უნიკალურ ნაკადში ოდენ პრაქტიკულ, უტილიტარულ მომენტს ხედავდნენ“ (გველი მოვკალ უფლისათვის (ქართული შელოცვები), 1992: 4).

სხვადასხვა შელოცვების გარდა, მხოლოდ სამკურნალო შელოცვები არსებობს ათეულობით. მათ შორის შეხვდებით თითქმის ყველა დაავადების განსაკურნებლად შეთხზულ შელოცვას, ზოგ შემთხვევაში ჯანმრთელობის ერთიდაიგივე პრობლემის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე შელოცვასაც ნახავთ ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შორის. მაგალითად, თვალის ტკივილის შესალოცად შემორჩენილი შელოცვებია: „თვალ-ყბისა, ჟამისა და უჟმურისა“, „თვალ-ყბისა“, „თვალის ტკივილისა“, თითოეული მათგანი ინდივიდუალურია თავისი ტექსტითა და შინაარსით, თუმცა ისინი ჰგვანან კიდევ ერთმანეთს. პირველ ყოვლისა ქრისტიანობის პერიოდში შექმნილი შელოცვები, ძირითადად უფლისადმი მიმართვით იწყება და ასევე სრულდება, რაც არსებითად მთავარი საერთო ნიშანია შელოცვებისათვის. ამასთანავე ეს არის წარმართული და ქრისტიანული კულტურის საოცარი სინთეზის ნიმუშები, რომელიც, სხვათა შორის საქართველოს მთის სოფლებში დღემდეა შემორჩენილი, თუმცა, ხალხური ზეპირსიტყვიერება საცნაურს ხდის, რომ ამდაგვარი შერწყმა ქრისტიანული და წარმართული კულტურებისა, არამარტო მაღალმთიანი მხარეების დამახასიათებელი, არამედ, საერთო ქართული ფენომენი ყოფილა საუკუნეების განმავლობაში. ყურადსაღებია, შელოცვათა მხატვრული ღირებულების გათვალისწინებაც, რაც როგორც ჩანს ხშირად არის უგულვებელყოფილი: „შელოცვა ქართული ზეპირსიტყვიერების ერთი უძველესი და „უმნიშვნელოვანესი“ შენაკადია, რომლის მეცნიერული შესწავლა, მიუხედავად მრავალი საინტერესო ნაშრომისა, ვგონებ, ჯერაც არ უნდა იყოს დასრულებული – რაღა ჩვენი არცთუ მიღად ჭკუიანი იდეოლოგიები დიდხანს სახამუშოდ თვლიდნენ ამ საქმეს. დაკვირვებული მკითხველი ქართულ შელოცვებში როგორც წარმართული ხანის აღნაბეჭდებს მოინიშნავს, ასევე ქრისტიანული მოძღვრების დანაშრევებსაც გაადევნებს თვალს; თუმცადა, არც ისაა დასამალი, რომ ქრისტიანობა შეუწყნარებლად მიიჩნევს „შელოცვით კურნებას“ (გველი მოვკალ უფლისათვის (ქართული შელოცვები), 1992: 8-9), - წერს, ქართული შელოცვების კრებულის წინასიტყვაობაში მიხო მოსულიშვილი.

ჩვენ ძალზე საინტერესოდ მიგვაჩნია, რომ თემატურად ერთი ტიპის შელოცვებში ხშირად შეინიშნება საერთო სიუჟეტური ხაზი. მაგალითად, ზემოთ ჩამოთვლილი თვალის შელოცვებიდან, პირველ და მეორე შემთხვევაში საკმაოდ დიდია მსგავსება. შევაფასოთ პარალელურად:

1. „...გამოიზავა შავი კლდე,
გამოვიდა შავი კაცი,
შავით შეკმაზილი იყო -
შავი ჯაჭვი ეცვა,
შავსა ცხენსა იჯდა,

კბილსა მოიხჭენდა,
 თვალსა მოაკაკაჩებდა,
 მიჭუნდრუკობდა.
 შემოხვდა მიქელგაბრიელ
 მთავარანგელოზნი,
 ჰკითხეს: „საით წახვალ, შავო კაცო?“
 ჰრქვა მან: „რას მკითხავ?
 მივალ საქრისტიანოს კაცის ხორცის საჭმელად,
 სისხლის სასმელად“...

2. „გამოვიდა ზღვითა კაცი -

იმახოდა ვითა ლომი,

ბლაოდა ვით ვაცი.

შემოხვდნენ მას წმინდანი

მთავარანგელოზნი მიქელ

და გაბრიელ, კითხეს:

- სად მიხვალ შენ, ზღვის კაცო?

მიუგო მან და რქვა:

- ვღრჭენდი ქვისასა,

ვსჭამდი მიწასა.

ახლა გამოველ ზღვითა.

შეველ კაცის თავშია,

ნახევარს ტვინსა შევჭამ,

ნახევარს სისხლსა შევხვრევა“... (გველი მოვკალ უფლისათვის (ქართული
 შელოცვები), 1992: 8-9, 13, 18).

სრულ ციტირებას ვერ ვახდენთ, ფორმატის გათვალისწინებით, თუმცა ვფიქრობთ, დამოწმებული მონაკვეთებიდან აბსოლუტურად თვალსაჩინოა, რა მსგავსება-განსხვავებანი გვაქვს სახეზე. ორივე შემთხვევაში გაბოროტებული კაცი მოდის ადამიანთა შესაჭმელად და მათი სისხლის შესასმელად, ორივე შემთხვევაში მთავარანგელოზნი მიქელი და გაბრიელი ხვდებიან იდუმალ კაცს, თუმცა პირველ ჯერზე თუ ეს კაცი კლდიდან გამოდის, მეორე ჯერზე ზღვიდან ევლინება საქრისტიანოს. ამდენად, იკვეთება ქართველთა დამოკიდებულება ზღვასთან და კლდესთან, როგორც ჩანს ორივე მათგანი წინაპართა აღქმაში, ამოუხსნელი და იდუმალებით მოცული ადგილია, სადაც ყველაზე მეტი ალბათობით მიიჩნევენ, რომ შესაძლოა ავი სულები ბინადრობდნენ. ჩვენს ვარაუდს ამყარებს ის გარემოებაც რომ შელოცვებს შორის „ზღვის შესაშინებელი“ შელოცვაც შეგვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი მსგავსი ტიპის შელოცვიდან, ორივე ქრისტიანობის დროისაა, პირველი მათგანის შედარებით ადრინდელობა ლექსიკურად არის გამოხატული. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სიტყვები - „მოაკაკაჩებდა“ და „მიჭუნდრუკობდა“. „მოაკაკაჩებდა“ თანამედროვე გაგებით იგივეს აღნიშნავს რასაც - „აბრიალებდა“. კაკაჩა ქორისებრი ფრინველია, ამდენად, ვფიქრობთ, „თვალნი ქორებულ მხედავნი“, „თვალთა მოაკაკაჩებას“ შემდგომი პერიოდის ვერსიას, რომლითაც გამოთქმა საბოლოოდ ჩანაცვლდა და რის გამოც აღარ გამოიყენებოდა მეტყველებაში ძველი ტერმინი. შესაბამისად, გავრცელებული შედარებაც - „თვალებს ქორივით აბრიალებდა“, უნდა მომდინარეობდეს მისი ძველი ვერსიიდან სადაც ქორის ნაცვლად კაკაჩა იქნებოდა სავარაუდოდ. საინტერესოა რამ გამოიწვია ეს ჩანაცვლება? ქორი საქართველოსა და კავკასიაში ფართოდ გავრცელებული სახეობაა, რომელიც უფრო ხშირად ხვდებოდა

ქართველი ადამიანის თვალსაწიერში და შესაბამისად მეტყველებაშიც, რაც შეეხება კაკაჩას, იგი როგორც ქორისებრთა ქვესახეობა, ძირითადად პროფესიონალისთვის არის იდენტიფიცირებადი, არაპროფესიონალებისთვის კი ზოგადად ქორად აღიქმება. ამასთანავე, როგორც ამბობენ, ფრენის დროს, კაკაჩა ხშირად ერევათ მიმინოსა და არწივში. შესაბამისად, მეტყველებაში ამ სახეობის ხსენების საჭიროების გაიშვიათებამ გავლენა იქონია სიტყვა-თქმებზეც, რაც ბუნებრივი მოვლენა იქნებოდა გარკვეული დროითი დისტანციის მანძილზე. ასევე საინტერესოა სიტყვა „მიჭუნდრუკობდა“, რაც შინაარსობრივად, აშკარად იმავე დატვირთვის მატარებელია, როგორც „მიჭენაობდა“. ამ მაგალითებზე კი იმიტომ შევჩერდით, რომ კიდევ ერთხელ გაგვემახვილა ყურადღება, რამხელა ისტორია აქვს ქართულ მეტყველებას; ჩვენ დღეს ბოლომდე არ გვაქვს გარკვეული მერამდენე თაობის სამეტყველო ენაზე გვიწევს საუბარი. ამ მიმართულებით (ურთიერთმსგავსი მიზნობრიობის შელოცვათა შედარებით) კვლევის გაგრძელება არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას მოგვცემდა, თუმცა რომ არ ავცდეთ წინამდებარე კვლევის მთავარ მიზანს, სამწუხაროდ, სამომავლოდ უნდა გადავდოთ.

მივუბრუნდეთ შელოცვებს. როგორც აღვნიშნეთ თემატური მრავალფეროვნება დამახასიათებელია ქართული შელოცვებისათვის. მათი დაჯგუფების საშუალებით გავიგებთ რა დაავადებები იყო გავრცელებული ყველაზე მეტად. რის მიმართ იჩენდა ქართველი კაცი განსაკუთრებულ სიფრთხილეს, რისგან თავის დასაცავად სურდა ზებუნებრივი ძალების დახმარება ყველაზე ხშირად და ვისი და რისი სწამდა სხვა და სხვა საფრთხეებისგან პრევენციისა თუ თავის დაღწევის მცდელობისას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა და სხვა ავადმყოფობის სამკურნალო შელოცვები მოიცავს თითქმის ყველა ტიპის პრობლემებს, მათ შორის რამდენიმე შელოცვაა, „უჟმურის“ დასამღევად, „თვალცემულის“ განსაკურნავად, მუცლის ტკივილის მოსარჩენად, მაგრამ ამასთანავე სამკურნალო შელოცვებში სურდოდან დაწყებული სიმსივნით დამთავრებული იძებნება ნებისმიერი პრობლემის შელოცვა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს - თმის ცვენის საწინააღმდეგოც კი, ამდენად, ხალხურ მედიცინასთან ერთად, ქართველებს რომ არანაკლებ სჯეროდათ სამკურნალო შელოცვებისა, ამ ტიპის შელოცვათა მრავალფეროვნება სწორედ ამ ფაქტზე მეტყველებს.

საინტერესო ფაქტია, რომ საქართველოში არაერთი მტაცებელი ცხოველი და ქვეწარმავალია გავრცელებული თუმცა ყველაზე განსაკუთრებულ საფრთხედ, ჩვენს წინაპრებს გველი და მგელი აღუქვამთ, რადგან ორივე მათგანზე რამდენიმე შელოცვაა შემორჩენილი. რას უნდა ნიშნავდეს ეს ფაქტი და აქვს თუ არა ახსნა? ვფიქრობთ, მეტი ყურადღების გამახვილება ამ არსებებზე, უნდა გამოეწვია კონკრეტულ აღქმებს, რომლის მიხედვითაც ორივე მათგანი სხვებზე მეტად იდუმალ არსებებად და ამდენად ავი სულების ხორციელ ნიმუშად მიუჩნევია ქართველ კაცს. ამავე მოსაზრების არგუმენტად გამოდგება ისიც, რომ შელოცვებს შორის, რამდენიმე შელოცვას ვხვდებით ქაჯებისა და დევების გასანეიტრალებლადაც, მაშინ როცა, არ იძებნება საქართველოში გავრცელებული სხვა რეალური მტაცებლებისაგან (მაგალითად, ფოცხვერი, დათვი, ტურა და ა.შ.) თავდასაცავი შელოცვები. რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ამ ყველაფრისაგან? რაზე მეტყველებს ეს გარემოება? ვფიქრობთ, ეს ვითარება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენი წინაპრები შეუპოვარი და გაბედული ადამიანები იყვნენ, ზებუნებრივი ძალებისაგან დახმარებას მხოლოდ მაშინ ითხოვდნენ, როდესაც მიაჩნდათ, რომ სხვა (ბოროტ) ზებუნებრივ ძალასთან უწევდათ დაპირისპირება, ხოლო თუ საფრთხეს ამქვეყნიურად, მიწიერად მიიჩნევდნენ, მაშინ ისინი საკუთარი თავის იმედად იბრძოდნენ და პირადი თავგანწირვის ხარჯზე დგებოდნენ გამოწვევის პირისპირ. ჩვენი მოსაზრების უტყუარ არგუმენტად გამოდგება თუნდაც ის რეალობა, რომ ქაჯებზე, ჭინკებზე, გამთვალავებზე, დევებზე და

მისთანებზე, თითოეულზე რამდენიმე შელოცვაც კი შემორჩენილა, მაშინ როცა, შელოცვა - ჩვეულებრივი მომხდური მტრის წინააღმდეგ არ იძებნება.

ყურადსაღებია, რომ თუ ამ ლოგიკურ ჯაჭვს გავყვებით, გამოიკვეთება ისიც, რომ ბუნებრივი მოვლენების მიმართ ძალზე მწირი წარმოდგენები გვქონია საუკუნეების მანძილზე და ყველა ბუნებრივი მოვლენა, ქარი, წვიმა, მდინარე, ზღვა, ასევე ზებუნებრივ მოვლენებად გვქონია მიჩნეული. ამას ადასტურებს შელოცვათა ტექსტები, რომლებიც ქართველებს მიუძღვნიათ, „ზღვის შეშინებისთვის“, „ამღვრეული წყაროს დაწმენდისთვის“, „ქარისთვის“, ახალმთვარისათვის“ და ა.შ... სხვათაშორის, ეს ფაქტი გამოკვეთს ქართველთა ბუნების კიდევ ერთ საინტერესო ასპექტს, კერძოდ, ხშირად მოისმენთ დამკვიდრებულ გამონათქვამებს, რომ: „ქართველები რომანტიული ბუნებისანი არიან“, რომ: „ქართველი კაცი პოეტია და ქართველი პოეტი - ორჯერ პოეტი“ და არაერთი ამ პათოსის მატარებელი მოსაზრება შეიძლება გაგვახსენდეს. ბუნებრივი მოვლენების ამდაგვარი იდუმალებით შეზურვა ქართველი კაცის ცნობიერებაში კი, სწორედ იმის დასტურია, რომ ჩვენ, ოდიდგანვე რომანტიული ბუნების, მეოცნებე ტიპაჟები უნდა ვყოფილიყავით და პოეზია ჩვენი გენეტიკის შემადგენელი ნაწილია, რაც პერმანენტულად ამოხეთქავს და ვლინდება ხოლმე კიდევ. ამიტომაც არ არის არაფერი უცნაური იმაში, რომ ჩვენაირი პატარა ერის წარმომადგენელი პოეტები (რუსთაველი, გალაკტიონი) მსოფლიოს ყველაზე უდიდესი პოეტები არიან და ეს საყოველთაოდაც უპირობოდ იქნებოდა აღიარებული, მათი შემოქმედების ორიგინალთან ნახევრად მიახლოებული თარგმანების გაკეთება რომ იყოს შესაძლებელი.

დასკვნები. შელოცვათა ტექსტებს უმრავლესობა, არსებითად ჯერ კიდევ შეუსწავლელია, თითოეული მათგანი ძალზე მნიშვნელოვანია ქართველთა ეთნო-კულტურული ყოფის კვლევის თვალსაზრისით. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში რამდენიმე საინტერესო დასკვნის გაკეთება მოვახერხეთ, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად თემატური მიმოხილვით შემოვიფარგლეთ და ტექსტების ინდივიდუალური გაშიფვრა სკრუპულოზურად არ დაგვიწყია, ამ ეტაპზე პრობლემატიკის განსხვავებული კურსიდან გამომდინარე. როგორც ზემოთაც შევნიშნავდით, განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა სამკურნალო შელოცვები, რაც სრულიად არის თანხვედრაში ჩვენს მიერ მსჯელობით ნაწილში გაკეთებულ შეფასებებთან. აღნიშნულთან კავშირში, საინტერესო ინფორმაციას ვეცნობით დათია ბადალაშვილის სტატიაში - „ხალხური მკურნალობა და შელოცვები დიდ თონეთურ ზეპირსიტყვიერებაში“: „დღესაც კი დიდ თონეთელებს სჯერათ, რომ დაავადებას სხეულში ჩასახლებული სული იწვევს, ჩემს ხსოვნაში არიან ადამიანები, რომლებიც სხეულში ჩასახლებული ბოროტი სულის განდევნას გამოლოცვით ცდილობდნენ“ (ბადალაშვილი, 2023). ანუ, ის, რომ ქართველი კაცისთვის, შელოცვა იყო მხოლოდ ზებუნებრივ, მისთვის ამოუცნობ და იდუმალ არსებებთან ბრძოლის იარაღი, ეს ჩანს სამკურნალო დანიშნულების შელოცვებშიც კი. თუნდაც ეს ნიუანსი, ქართველი ერის ბუნებაზე დიდი ინფორმაციის მატარებელი მოცემულობაა და ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ ქართული შელოცვები უნიკალური მასალაა სამეცნიერო კვლევებისათვის. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ მომავალშიც არაერთი ნარკვევი გამოჩნდება სამეცნიერო ბრუნვაში, რისთვისაც შესაძლოა ჩვენი ნაშრომიც მნიშვნელოვანი ინსპირაცია აღმოჩნდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბადალაშვილი, დ. (2023). ხალხური მკურნალობა და შელოცვები დიდ თონეთურ ზეპირსიტყვიერებაში. *ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://mastsavlebeli.ge/?p=38261>

გველი მოვკალ უფლისათვის (ქართული შელოცვები). (1992). თბილისი.

კიკნაძე, ზ. (2008). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი.

ხალხური შემოქმედება. (თ.გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://georgianculture.narod.ru/xalxuri_shemoqmedeba_1.htm

REFERENCES

badalashvili, d. (2023). khalkhuri mk'urnaloba da shelotsvebi did toneturi zep'irsit'qvierebashi [Folk remedies and incantations in the Big Toneti oral tradition]. *int'ernet'gazeti mastsavlebeli.ge* [Internet newspaper mastsavlebeli.ge]. Retrieved from <http://mastsavlebeli.ge/?p=38261>

gveli movk'al uplisatvis (kartuli shelotsvebi) [I killed the snake for the Lord, (Georgian incantations)]. (1992). Tbilisi.

k'ik'nadze, z. (2008). *kartuli polk'lori [Georgian folklore]*. Tbilisi.

khalkhuri shemokmedeba [Folk creation]. (n.d.). Retrieved from https://georgianculture.narod.ru/xalxuri_shemoqmedeba_1.htm